ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-03252031-03
თარიღი: 22.07.2025 09:29
ვადა: 21.08.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01252023831 განცხადების თარიღი: 21.07.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-03252031-03
22.07.2025 : 09:29
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01252023831**
თარიღი: **21/07/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/ რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 10 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება
2025 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 20/02/2020; სარეგისტრაციო კოდი: 450050020.35.101.016690) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის“:

ა) მე-2 მუხლის:

ა.ა) „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია – პიროვნების, ფაქტის, ისტორიული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის უკვდავსაყოფად, სხვადასხვა მასალით შექმნილი ობიექტი, რომელიც კულტურულ ფასეულობას მიეკუთვნება: ძეგლი (ქანდაკება, სკულპტურა), ობელისკი და რომელზეც საქართველოს სახელმწიფო ენაზე მიეთითება შემდეგი ინფორმაცია: ავტორი, არქიტექტორი, განთავსების თარიღი და მასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაცია არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაზე, საქართველოს სახელმწიფო ენასთან ერთად, შესაძლებელია შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე;

ა.ა) „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სამინისტრო - საქართველოს კულტურის სამინისტრო.“;

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა, ასევე ინფორმაცია უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ;“;

ბ.ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ითხოვს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებას სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ფოტო და გადაადგილების შემდგომი ფოტომონტაჟი, საავტორო უფლების მქონე პირის თანხმობის წერილი, აგრეთვე, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაცია.“;

გ) მე-4 მუხლის:

გ.ა) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ.“;

გ.ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-5 მუხლს, მე-4 პუნქტის შემდგომ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „4[1]“ პუნქტი:

„4[1]. კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში:

ა) თუ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება ან გადაადგილება იგეგმება იმ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ან მდებარეობს უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური და/ან ვიზუალური დაცვის არეალში, განმცხადებელი ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში — არქიტექტურის სამსახური) გადაწყვეტილება;

ბ) თუ იგეგმება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება ან გადაადგილება, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახური ვალდებულია, სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის პროექტი, მოდელი და ესკიზი, შესრულებული/შესასრულებელი მასალის მითითებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) თუ მემორიალური დაფის განთავსება იგეგმება შენობა-ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია ან მდებარეობს უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური და/ან ვიზუალური დაცვის არეალში, განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს ვალდებულია წარუდგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.";

ე) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვის ეტაპის დასრულების და არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების საკითხის სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ, კომისია თბილისის მერს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი რეკომენდაციით:

ა) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ;

ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეუწონლად ცნობის შესახებ.";

ვ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმ პიროვნების, ფაქტის, ისტორიული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის უკვდავსაყოფად არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის კვლავ განთავსების საკითხი, რომლის პატივსაგებად თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში უკვე განთავსებულია არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია.";

ზ) მე-6 მუხლს მე-6 პუნქტის შემდგომ დაემატოს 6^1 პუნქტი:

„6^1.ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი არ ვრცელდება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების საკითხის განხილვაზე, თუ ის უსასყიდლოდ გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტს.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/ რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის“ მოქმედი რედაქციით, რიგ საკითხებთან, არ არის დაზუსტებული და განსაზღვრული პროცესუალური დეტალები რაც იწვევს გარკვეულ უზუსტობას. კერძოდ, მოქმედი რეგულაციები სრულად არ ითვალისწინებს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების განთავსების და გადაადგილების დროს წამოჭრილ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პროცესუალურ დეტალებს, რაც პრაქტიკაში ქმნის დაბნეულობას, უპირატესად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით.

წესის მოქმედი რედაქციით, კოორდინაციის კუთხით გარკვეული ხარვეზები იჩენს თავს სხვადასხვა უწყებებთან კომუნიკაციის დროს. კერძოდ, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და კულტურის სამინისტროს ჩართულობა არ არის ფორმალიზებული, რაც აუცილებელია პროცესის სამართლებრივად წმინდად წარმართვისა და პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

ცვლილებები აუცილებელია, რათა გაუმჯობესდეს პრაქტიკა უწყებათშორის კოორდინაციაში, გაიზარდოს კულტურული ფასეულობის დაცვის ხარისხი, მკაფიოდ განისაზღვროს სამართლებრივი ჩარჩო, მაგალითად — კომპოზიციის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში გამონაკლისის დაშვებით საჯარო ინტერესის დაცვა გახდეს შესაძლებელი.

წესის ახალი ნორმები გააძლიერებს არქიტექტურული და კულტურული სივრცის შინაარსობრივ განვითარებასა და მოაწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

ცვლილების მთავარი მიზანია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციებისა და მემორიალური დაფების განთავსების, გადაადგილებისა და

შეთანხმების პროცესის უფრო დეტალური, სამართლებრივად გამართული და პრაქტიკულად ეფექტიანი რეგულირება.

მოცემული ცვლილებებით განისაზღვრება და შემდგომში დარეგულირდება შემდეგი საკითხები: არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ცნება და ინფორმაციული სტანდარტები, გადაწყვეტილებების მიმღები სუბიექტები და მათი პასუხისმგებლობა, შემოსული დამატებითი მოთხოვნები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში კოორდინაციის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილებით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება, კომპოზიციის განთავსების შემთხვევაში, აუცილებელი კონკრეტული ნებართვების ან რეკომენდაციების წარდგენა შესაბამის უწყებებიდან.

ასევე, განისაზღვრება გამონაკლისი შემთხვევა, როცა მუხლის შეზღუდვა არ ვრცელდება უსასყიდლოდ გადაცემის პირობაზე.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

დადგენილებაში (2020 წლის 18 თებერვალი, N53-33) ცვლილებები და კონკრეტული პუნქტების ახალი რედაქციები ეხება შემდეგს:

ა) მე-2 მუხლში ცვლილების თანახმად იცვლება და ზუსტდება ტერმინთა განმარტებები, კერძოდ „ა“ პუნქტში სრულდება და კონკრეტიზდება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის დეფინიცია, ხოლო „ე“ პუნქტში უწყებაში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებების შედეგად ხდება სამინისტროს სახელწოდების კორექტირება, შესაბამისად წესის მოქმედი რედაქციით:

„ა“ პუნქტი, განმარტებულია, როგორც:

„ა)“ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია - სხვადასხვა მასალით შექმნილი ობიექტი, რომელიც კულტურულ ფასეულობას მიეკუთვნება: ძეგლი (ქანდაკება, სკულპტურა), ობელისკი და რომელზეც საქართველოს სახელმწიფო ენაზე მიეთითება შემდეგი ინფორმაცია: ავტორი, არქიტექტორი, განთავსების თარიღი და მასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაცია არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაზე, საქართველოს სახელმწიფო ენასთან ერთად, შესაძლებელია შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე;

ხოლო ცვლილების თანახმად ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ა) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია – პიროვნების, ფაქტის, ისტორიული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის უკვდავსაყოფად, სხვადასხვა მასალით შექმნილი ობიექტი, რომელიც კულტურულ ფასეულობას მიეკუთვნება: ძეგლი (ქანდაკება, სკულპტურა), ობელისკი და რომელზეც საქართველოს სახელმწიფო ენაზე მიეთითება შემდეგი ინფორმაცია: ავტორი, არქიტექტორი, განთავსების თარიღი და მასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაცია

არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაზე, საქართველოს სახელმწიფო ენასთან ერთად, შესაძლებელია შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე;";

„ე" პუნქტი განმარტებულია, როგორც:

„ე)" სამინისტრო – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;

ხოლო ცვლილების თანახმად ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ე)" სამინისტრო - საქართველოს კულტურის სამინისტრო;"

ბ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის ცვლილების თანახმად, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი უნდა ადასტურებდეს არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს, არამედ ასევე ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობას.

წესის მოქმედი რედაქციით მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი განმარტებულია, როგორც:

„ა) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა;"

ხოლო ცვლილების თანახმად ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ა) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა, ასევე ინფორმაცია უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ;";

გ) წესის მოქმედი რედაქციით მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი განმარტებულია, როგორც:

„5. თუ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება მოთხოვნილია იმ ტერიტორიაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში-არქიტექტურის სამსახური) გადაწყვეტილება.";

ხოლო ცვლილების თანახმად ამოღებულ იქნეს;

დ) მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ცვლილების თანახმად განისაზღვრა არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილების განაცხადის კომპლექტაცია, მათ შორის საავტორო უფლებების მქონე პირის თანხმობის წერილითა და დაფინანსების წყაროს ინფორმაციით.

წესის მოქმედი რედაქციით მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი განმარტებულია, როგორც:

„7. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ითხოვს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებას იმ ტერიტორიაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რაც დასტურდება სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილით, სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ფოტო და გადაადგილების შემდგომი ფოტომონტაჟი, აგრეთვე, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისმ გადაადგილებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაცია. კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.“;

ხოლო ცვლილების თანახმად ჩამოყალიბდება რედაქციით:

„7. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ითხოვს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებას სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ფოტო და გადაადგილების შემდგომი ფოტომონტაჟი, საავტორო უფლების მქონე პირის თანხმობის წერილი, აგრეთვე, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაცია.“;

ე) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატება ახალი „ა[1]“ ქვეპუნქტი, რომელიც მოითხოვს წერილს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ.

რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ა[1]) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ.“;

ვ) წესის მოქმედი რედაქციით მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი განმართებულია, როგორც:

„5. თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.“;

ხოლო ცვლილების თანახმად ამოღებულ იქნეს;

ზ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატება „4[1]“ პუნქტი, რომელიც დეტალურად ადგენს კომისიის რეკომენდაციებსა და მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებებს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების პროცესში;

რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„4[1]. კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში:

ა) თუ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება ან გადაადგილება იგეგმება იმ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ან მდებარეობს უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური და/ან ვიზუალური დაცვის არეალში, განმცხადებელი ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში — არქიტექტურის სამსახური) გადაწყვეტილება;

ბ) თუ იგეგმება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება ან გადაადგილება, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახური ვალდებულია, სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის პროექტი, მოდელი და ესკიზი, შესრულებული/შესასრულებელი მასალის მითითებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) თუ მემორიალური დაფის განთავსება იგეგმება შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია ან მდებარეობს უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური და/ან ვიზუალური დაცვის არეალში, განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს ვალდებულია წარუდგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.“;

თ) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ცვლილების თანახმად უფრო მკაფიოდ ასახავს კომისიის რეკომენდაციის შემდეგ თბილისის მერისთვის წარდგენის ფორმალურ პროცესს.

წესის მოქმედი რედაქციით მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი განმარტებულია, როგორც:

„5. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვისა და არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების საკითხის სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ, კომისია თბილისის მერს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი რეკომენდაციით:

ა) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ;

ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/დამემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეუწონლად ცნობის შესახებ.“;

ხოლო ცვლილების თანახმად ჩამოყალიბდება რედაქციით:

„5. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვის ეტაპის დასრულების და არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების საკითხის სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ, კომისია თბილისის მერს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი რეკომენდაციით:

ა) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ;

ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეუწონლად ცნობის შესახებ.“;

ი) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ცვლილების თანახმად განისაზღვრა, რომ კომისიას არ წარედგინება იმ პირების არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის კვლავ განთავსების საკითხი, რომლის პატივსაცემადაც თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში უკვე არსებობს შესაბამისი კომპოზიცია.

წესის მოქმედი რედაქციით მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი „ბ“ ქვეპუნქტი განმარტებულია, როგორც:

„ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ძეგლის (ქანდაკება, სკულპტურა) კვლავ განთავსების საკითხი.“;

ხოლო ცვლილების თანახმად ჩამოყალიბდება რედაქციით:

„ბ) იმ პიროვნების, ფაქტის, ისტორიული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის უკვდავსაყოფად არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის კვლავ განთავსების საკითხი, რომლის პატივსაგებად თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში უკვე განთავსებულია არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია.“;

კ) მე-6 მუხლს მე-6 პუნქტის შემდგომ დაემატება „6^1“ პუნქტი, რომელიც გარკვეულ გამონაკლისს აწესებს ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე და ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ უსასყიდლოდ მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის შემთხვევაში, არქიტექტურული კომპოზიციის განთავსების განხილვის პროცედურები შესაძლოა განსხვავებულად განისაზღვროს.

რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„6^1.ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების საკითხის განხილვაზე, თუ ის უსასყიდლოდ გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტს.“.

ბ) პროექტის ფინანსურ-ეკონომიკური გაანგარიშება:
პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:
დადგენილების ინიციატორის მოსაზრებით პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი (ავტორები):
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერ